ოქმი:**ო63. 63260843**
თარიღი:**25/03/2026**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს**

**განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა**

**კომისიის სხდომის**

**ოქმი N2**

6 მარტი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 6 მარტს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, მაია ტალაბაძე, მარიამ ცომაია, ტარიელ დვალიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი, როლანდ ეცადეიშვილი, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35516 წერილობითი მომართვის განხილვა.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35980 წერილობითი მომართვის განხილვა.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35981 წერილობითი მომართვის განხილვა.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის N01-622605572 წერილობითი მომართვის განხილვა.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

5. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის N13/7405 წერილობითი მომართვის განხილვა.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

***<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35516 წერილობითი მომართვა.

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 17 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა თორნიკე ვიბლიანის (პ/ნ: 01005019014) M26001962 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით - 34.08.72.128. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია - ქალაქი სამტრედია. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: ქუჩის სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

მომართვას თან ახლავს დანართის სახით სიტუაციური რუკა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

***<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35980 წერილობითი მომართვა.

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2026 წლის 17 თებერვალს წარედგინა თორნიკე ვიბლიანის (პ/ნ: 01005019014) M26001955 და M26001957 განცხადებები, რომლითაც მოთხოვნილია მისამართის მინიჭება უძრავ ნივთებზე, საკადასტრო კოდებით: 34.08.72.127; 34.08.72.041. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული ორივე უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: „ქალაქი სამტრედია“. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი უძრავი ნივთების მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული

ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: ქუჩის სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი

მომართვას თან ახლავს დანართის სახით სიტუაციური რუკა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

***<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N35981 წერილობითი მომართვა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - ,,სააგენტო“) წარედგინა მოქალაქე თორნიკე ვიბლიანის (პ/ნ: 01005019014) M26001964, M26001968 და M26001963 განცხადებები - 34.08.72.129, 34.08.72.206 და 34.08.72.208 საკადასტრო კოდების მქონე უძრავი ნივთებისთვის მისამართების დაზუსტების თაობაზე. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთების საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია - ,,ქალაქი სამტრედია“.

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები სახელწოდებებით: ,,ანტონ ჩეხოვის ქუჩა“, რომელიც სამისამართო რეესტრში აღირიცხა ქალაქ სამტრედიის დამისამართების პროექტის ფარგლებში 2013-2014 წლებში განხორციელებული საველე აღწერის შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ "სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სამტრედია, ანტონ ჩეხოვის ქუჩის" მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი).

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სამტრედია, ანტონ ჩეხოვის ქუჩის" მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება და საჭიროების შემთხვევაში გადმოგვიგზავნოთ ქუჩის შესწორებული მოხაზულობა სიტუაციური რუკის სახით.

მომართვას თან ახლავს დანართის სახით სიტუაციური რუკა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

***<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის N01-622605572 წერილობითი მომართვა.

**ჯონი თევზაძე -** გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ჩვენს სამსახურში შემოვიდა წერილები , რომლებიც ეხება ქ. სამტრდიაში უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდები: 34.08.72.127; 34.08.72.041; 34.08.72.129; 34.08.72.206; 34.08.72.208 და 34.08.72.128) მისამართის დაზუსტებას.

34.08.72.127; 34.08.72.041; 34.08.72.129; 34.08.72.206; 34.08.72.208 საკადასტრო კოდებზე არსებული ტერიტორია მდებარეობს ამირან ბახტაძის ქუჩის კვეთაზე და მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ ქუჩას ეწოდოს ამირან ბახტაძის I შესახვევი, ხოლო მის პარალელურად მდებარე ანტონ ჩეხოვის ქუჩა შეწყდეს კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, რომლის საკადასტრო კოდია 34.08.72.206 საზღვართან.

რაც შეეხება ს/კ 34.08.72.128 -ში არსებულ უძრავ ნივთს , ის მდებარეობს თამარ თავაძის ქ. N65-ის მიმდებარედ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხსენებულ ქუჩას, რომელზეც აღნიშნული საკუთრება მდებარეობს ეწოდოს თამარ თავაძის I შესახვევი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოსკანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

***<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის N13/7405 წერილობითი მომართვა. მომართვას ახლავს დანართის სახით სამტრედიის ქალაქის გამგეობის 1999 წლის 24 დეკემბრის სხდომის ოქმი N12-ის გადაწყვეტილება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გადაიგზავნოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა მერიის შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და შესაბამისად, სიტუაციურ რუკაზე აგვისახოს ობიექტის ტიპისა და ქუჩის გავრცელების არეალი.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

(ოქმს თან ერთვის დანართი 6 ფურცლად)

***სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/***

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი